სეზარ როდრიგეს-გარავიტო
კრიზნა გომესი

პასუხი პოპულისტურ გამოწვევას: ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების ახალი ტაქტიკები

შესავალი

მსოფლიოს მასშტაბით პოპულისტი მთავრობებისა და აქტორების მომრავლება მნიშვნელოვან რისკებსა და გამოწვევებს წარმოშობს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, თუმცა ამ მოვლენას შეიძლება თან ახლდეს მოულოდნელი პოზიტიური შედეგიც: საგანგებო გამოწვევებმა უფლებადამცველ ორგანიზაციებს, შესაძლოა, ბიძგი მისცეს, თავიანთი მოქმედებების სტრატეგიებს გადახედონ და დამკვიდრებულ არქიტექტურაში ტრანსფორმაციულ გარდაქმნებზე დაიწყონ ფიქრი.

მულტიპოლარულ პოლიტიკურ სამყაროში, სადაც არადასავლური სახელმწიფოების „ბუმერანგის“ მიდგომა, რომელიც გლობალური სამხრეთის არადემოკრატიული ლიდერების ავტორიტარული მიდრეკილებების შესაკავებლად გლობალური ჩრდილოეთის დედაქალაქების საშველად მოხმობას გულისხმობდა, დიდი ხანია შეზღუდული ეფექტურობით მოქმედებს. გლობუსის ორივე მხარეს პოპულისტური ლიდერების მომრავლების პირობებში, რომლებიც ნაციონალისტური განწყობების მობილიზებას ცდილობენ და უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების ფუნდამენტურ უფლებებს თამამად უგულებელყოფენ, „მხილების და შერცხვენის“

პოპულისტური და არალიბერალური ძალების შეტევა სამოქალაქო საზოგადოების სფეროში არსებულ შიდა ხარვეზებზე უფლებადამცველ აქტორებს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის, რადგან პოპულისტები მიზანმიმართულად ცდილობენ გამოამჟღავნონ და სათავისოდ გამოიყენონ ისეთი სისუსტეები, როგორებიცაა: საერთაშორისო დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულება, დღის წესრიგის განსაზღვრის ძალაუფლების კონცენტრაცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში; საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გლობალურ სამხრეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დეფიციტი; პროფესიულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, სოციალურ მოძრაობებსა და ონლაინ აქტივისტებს შორის კავშირის ნაკლებობა; ლეგალისტური დისკურსებისა და სტრატეგიების გაუმართლებელი დომინაცია; ეკონომიკური უთანასწორობის საკითხის მიმართ ყურადღების ნაკლებობა; ფართო საზოგადოების შინაარსიან ჩართულობაზე ორიენტირებული, დამაჯერებელი და გამაერთიანებელი უფლებადაცვითი ნარატივების სიმწირე.

ამ პრობლემების არსებობა აჩვენებს, რომ ერთი მხრივ, სკეპტიციზმი, რომელიც გლობალური დასავლეთის გავლენის დაქვეითებასთან ერთად ადამიანის უფლებათა სფეროს, როგორც დასავლურ ტრადიციაში აღმოცენებულ ფენომენს, სწრაფ დასასრულს უწინასწარმეტყველებს, და მეორე მხრივ, თავდაცვითი პოზიცია,

რომელიც უფლებადამცველ ორგანიზაციებს სტატუს ქვოს დაცვისკენ მოუწოდებს, თანაბრად ხარვეზიანია. რეალური გამოსავალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოქმედების სტრატეგიების განახლებაა. უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა კრიტიკულად უნდა გაიაზრონ სფეროს შიდა სისუსტეები, შეისწავლონ პოპულისტი ლიდერების თავდასხმითი ტაქტიკები და წინააღმდეგობის ახალი ფორმები ჩამოაყალიბონ, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, ეფექტურად იფუნქციონირონ პოპულისტურ კონტექსტშიც.

მოცემული ტექსტი სისტემურად აღწერს პოპულისტი აქტორების მიერ უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის შექმნილ გამოწვევებს და, აყალიბებს წარმატებულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ სტრატეგიებს, რომლებიც ორგანიზაციებს პოპულისტურ თავდასხმებთან გამკლავებაში შეუწყობენ ხელს. ნაშრომი წარმოაჩენს, რომ პოპულისტმა ლიდერებმა დროთა განმავლობაში ეფექტურად გამოიმუშავეს ერთმანეთის მსგავსი სტრატეგიები, რომლითაც ისინი აქტივისტებს უსწორდებიან. შესაბამისად, მათი ხელწერა სხვადასხვა პოლიტიკურ და რეგიონულ კონტექსტში თვალშისაცემი მსგავსებებით ხასიათდება.

ოპულისტური გამოწვევა

როგორც ზემოთ აღინიშნა, უფლებადამცველი ორგანიზაციების ადვოკატირების დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც მთავრობების ქმედებების დაგმობასა და მათთვის ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მოწოდებას ეფუძნებოდა, არაეფექტური ხდება, რადგან ამ სტრატეგიის ეფექტურობისთვის საჭირო საერთაშორისო და ადგილობრივი პოლიტიკური პირობები სწრაფად იცვლება. მულტიპოლარულ გეოპოლიტიკურ წესრიგსა და დასავლეთში პოპულისტი აქტორების მომრავლებასთან ერთად ამ სტრატეგიას დამატებით სირთულეს უქმნის ავტორიტარული ძალების ტრანსფორმაციაც. თუ მეოცე საუკუნეში ლიბერალური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მთავარი საფრთხე დიქტატორული და წმინდად ავტორიტარული სახელმწიფოებიდან მოდიოდა, დღეს ასეთ რეჟიმებს ჰიბრიდული, დემოკრატიისა და ავტოკრატიის მიჯნაზე მყოფი, შედარებით უფრო კომპლექსური რეჟიმები ანაცვლებს. დემოკრატიის დაზიანება არჩევნების შედეგად არჩეული ლიდერების ინიციატივით მიმდინარეობს, რომლებიც სწრაფ და რადიკალურ ნაბიჯებს, როგორიცაა მასობრივი რეპრესიები თუ გადატრიალებები, დემოკრატიული ინსტიტუტების თანდათანობით გამოფიტვას ამჯობინებენ. ამ პროცესში ისინი დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას აცლიან ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ სვეტებს, როგორიცაა დამოუკიდებელი მედია, სამოქალაქო უფლებები, მიუკერძოებელი სასამართლო და შეკავება-გაწონასწორების მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარული არალიბერალური ლიდერების იდეოლოგიური პრეფერენციები ხშირად განსხვავდება და ყველა მათგანი პოპულისტური ატრიბუტებით არ მოქმედებს, მოცემული ნაშრომი პოპულისტ ლიდერებზეა კონცენტრირებული. პოპულისტებს სხვა პოლიტიკური აქტორებისგან ერთი მთავარი თვისება გამოარჩევთ: მათი რიტორიკა ანტიელიტიზმისა და ანტიპლურალიზმის კომბინაციას წარმოადგენს. ელიტის საპირისპირო მხარეს დგას „ნამდვილი ხალხი“, რომლის ლეგიტიმური წარმომადგენელი მხოლოდ პოპულისტი

ლიდერია. ეს დიქოტომია შინაგანად ანტიპლურალისტურია - პოპულისტურ მსოფლმხედველობაში „ნამდვილ ხალხს“ მხოლოდ ერთი ჯგუფი მიეკუთვნება, დანარჩენი ჯგუფები კი ხალხის მტრებად არიან წარმოჩენილები.

ანტიელიტიზმი

პოპულიზმის საფუძველშივეა ჩადებული მოსაზრება, რომ საზოგადოება იყოფა ორ ჰომოგენურ ჯგუფად. ესენია: „ნამდვილი ხალხი“ და „კორუმპირებული ელიტა“. პოპულისტების აზრით, პოლიტიკა ხალხის საერთო ნების გამოხატულება უნდა იყოს და სოციალური ცვლილება მხოლოდ ელიტის რადიკალური ცვლილების გზით არის შესაძლებელი.

„ელიტა“, როგორც ანალიტიკური კატეგორია, პოპულისტურ დისკურსში ემპირიული და სიმბოლური ელემენტების ნაზავს წარმოადგენს. პოპულისტები, ერთი მხრივ, ააშკარავებენ მზარდ და რეალურ სოციოეკონომიკურ უთანასწორობას და პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეებსა და გადაწყვეტილების მიმღებ წრეებს შორის ღრმა დისტანციის არსებობას. სწორედ ამის გამო თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებში ტექნოკრატიული ელიტებით უკმაყოფილო მოქალაქეები ხშირად გვევლინებიან პოპულისტების მხარდამჭერებად.

აღნიშნულის მიუხედავად, „ელიტის“ კატეგორია შორს დგას ემპირიული სიზუსტისგან. იგი სიმბოლურად გაფართოებული ჯგუფია, რომელშიც პოპულისტები „ნამდვილი ხალხის“ გარეთ დარჩენილ, მათთვის არასასურველ ყველა ჯგუფს ათავსებენ. შესაბამისად, ვინ წარმოადგენს ელიტას და ვინ ნამდვილ ხალხს, ცვალებადი და სოციოეკონომიკურ კონტექსტზე დამოკიდებული გარემოებაა. მაგალითად, ბრექსიტის დროს დიდ ბრიტანეთში ელიტას ევროკავშირის ბიუროკრატები და ლონდონის ფინანსისტები წარმოადგენდნენ. ხშირად პოპულისტი ლიდერები მდიდარ და ძალაუფლების მქონე ჯგუფების გვერდით „ელიტაში“ სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფსაც ათავსებენ, რაც ემპირიული რეალობისგან შორსაა, მაგრამ სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. მაგალითად, ასეთი ჯგუფებია მიგრანტები, მუსლიმები, ბოშები, რომლებიც „ნამდვილი ხალხის“ - თეთრკანიანი უმრავლესობის რიგში ვერ თავსდებიან.

ანტიელიტისტურ დისკურსს გავლენა აქვს უფლებადამცველ ორგანიზაციებზეც, რადგან პოპულისტი ლიდერები მანიპულირებენ არასამთავრობო ორგანიზაციების პროფესიონალიზაციით და უცხოურ დაფინანსებაზე დამოკიდებულებით. ამიტომ უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებები, რომ ისინი საკუთარი ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგ მუშაობენ და ქვეყნის სუვერენიტეტს უქმნიან საფრთხეს, განსაკუთრებით ხშირად მეორდება პოპულისტურ კონტექსტში. მაგალითად, ინდოეთში მოდის მთავრობა მუდმივად ადანაშაულებს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მწვანე სამოქალაქო მოძრაობებს ქვეყნის განვითარებაში ხელის შეშლასა და მოღალატეობაში. ამის მსგავსად, 2011 წელს ეგვიპტის ხელისუფლებამ არასამთავრობო ორგანიზაციები „უცხოეთის აგენტებად“ გამოაცხადა. სამთავრობო პროპაგანდამ კონსპირაციული

თეორიები შექმნა იმის შესახებ, რომ ეს ორგანიზაციები ფარულად ემსახურებოდნენ აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებს და თავიანთ ოფისებში იარაღს მალავდნენ.

ნტიპლურალიზმი

„ჩავესი არის ხალხი“ - ვენესუელაში გავრცელებული ეს საარჩევნო სლოგანი ზუსტად გამოხატავს ურთიერთმიმართებას ლიდერსა და ერთგვაროვან „ნამდვილ ხალხს“ შორის. ამ პოპულისტური დისკურსის კატეგორიული და მორალისტური ტონი პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მოწოდებებს მოწყვლადი ჯგუფების პოლიტიკაში ჩართულობის გაზრდისა და ინკლუზიურობის ამაღლებისკენ, რადგან პოპულისტებისთვის აღიარებასა და წარმომადგენლობას მხოლოდ ერთი ჰომოგენური ჯგუფი, „ნამდვილი ხალხი“ იმსახურებს. ამასთან, ხალხის ერთადერთი ლეგიტიმური წარმომადგენელი მხოლოდ პოპულისტი ლიდერი შეიძლება იყოს, რომელიც ძალაუფლების განხორციელებას პირდაპირი ფორმებით ცდილობს და გზიდან იშორებს ლიბერალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიას. ამ მსოფლმხედველობას კარგად გამოხატავს ერდოღანის მიერ კრიტიკოსებისთვის საჯარო თავშეყრისას ნათქვამი ფრაზა: „ჩვენ ვართ ხალხი, ვინ ხართ თქვენ?“

ამდენად, პოპულიზმის ანტიპლურალისტური ელემენტი, რომელიც „ჩვენ მათ წინააღმდეგ“ მორალურ ლოგიკაზეა დაფუძნებული, პირდაპირ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად პრინციპებს. საყოველთაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ პოპულისტები კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოების შესამსუბუქებლად იღვწიან, თუმცა, სინამდვილეში დიდ დროსა და ენერგიას უთმობენ ისეთი სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავებას, რომლებიც მაქსიმალურად შებოჭავს მათი კრიტიკოსების საქმიანობას. ხალხის ნებისა და დემოკრატიის სახელით მოქმედი პოპულისტები ძირს უთხრიან ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას და ახალ პოლიტიკურ რეჟიმს აყალიბებენ, რომელსაც „დემოკრატია უფლებების გარეშე“ შეიძლება ეწოდოს. თუმცაღა, ლიბერალური ელემენტებისგან დემოკრატიის დაცარიელება, საბოლოოდ, დემოკრატიის საბოლოოდ ძირის გამოთხრასაც ემსახურება. ამდენად, საბოლოო ჯამში, პოპულისტები არა მხოლოდ ანტილიბერალები, არამედ ანტიდემოკრატებიც არიან, რადგან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დემოკრატიის ძირითადი ინსტიტუტების, მათ შორის არჩევნების, სათავისოდ მანიპულირებას ცდილობენ. დემოკრატიის მიმართ პოპულისტების დამოკიდებულებას კარგად გამოხატავს ერდოღანის ფრაზა: „დემოკრატია მატარებელივითაა; ჩადიხარ, როცა დანიშნულების ადგილს მიაღწევ“.

ფლებადამცველების წინააღმდეგ პოპულისტების მოქმედების ტაქტიკები

როგორც აღინიშნა, ძალაუფლების კონსოლიდაციის პროცესში პოპულისტი ლიდერები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ზომებს უფლებადამცველი ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამ ზომებში გამოიყოფა ოთხი დიდი ჯგუფი: 1)

უცხოური დაფინანსების შეზღუდვა; 2) რეპუტაციის შელახვის კამპანიები (smear campaigns); 3. დამოუკიდებელი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობისთვის გადამწყვეტი უფლებების შეზღუდვა; 4. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ოპერაციული შესაძლებლობების შეზღუდვა რეგულატორული ინსტრუმენტებით; 5. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების გადმობირება.

უცხოური დაფინანსების შეზღუდვა

პოპულისტი მთავრობები ხელს უშლიან არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსური, განსაკუთრებით უცხოური წყაროებიდან მომდინარე, რესურსების მოპოვებაში სამი გზით. ესენია: 1) სამართლებრივი აქტები; 2) კონტრტერორისტული და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სტრატეგიები; 3) აქტივების გაყინვა.

წლებში სხვადასხვა დროს 45-მა ქვეყანამ მიიღო ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს გარე წყაროებიდან დაფინანსების მიღებაში. 2012 წლიდან 98-მა ქვეყანამ სხვადასხვა დროს მიიღო კანონმდებლობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების სივრცეს, აქედან 36% შეზღუდვებისა საერთაშორისო დაფინანსების მიღებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, 2017 წელს ინდოეთში პრემიერ მინისტრ მოდის მთავრობამ საქმიანობის ლიცენზია ჩამოართვა 10 000-მდე ორგანიზაციას, რითაც მათ უცხოური დონაციების მიღების უფლებაც შეუზღუდა. პოპულისტი მთავრობები ასევე ხშირად იშველიებენ „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების“ რისკებს, როგორც მთავარ მოტივაციას, რომ წვდომა მოიპოვონ არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშებზე ან დანაშაულებრივ ჯგუფებთან კავშირის საბაბით ყინავენ მათ საკუთრებაში არსებულ აქტივებს.

ეპუტაციის შელახვის კამპანიები

არასამთავრობო ორგანიზაციების სიმბოლური ძალაუფლებისა და საზოგადოებრივი ნდობის შელახვის მიზნით, პოპულისტი მთავრობები ხშირად მიზანმიმართულად აწყობენ მათთვის რეპუტაციული ზიანის მიყენებაზე ორიენტირებულ კამპანიებს. უფრო კონკრეტულად, პოპულისტი ლიდერები ცდილობენ, რომ შეარყიონ წარმოდგენა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები არიან: 1) პრინციპული; 2) მიუკერძოებელი და 3) არაძალადობრივი აქტორები.

იმისთვის, რომ უფლებადამცველი ჯგუფების პრინციპულობას ჩრდილი მიაყენონ, პოპულისტები ავრცელებენ პროპაგანდისტულ დისკურსს, რომ ეს ჯგუფები ფინანსური მოგების, ანტიპატრიოტული და ანტისაზოგადოებრივი მოტივებით მოქმედებენ და მათ წინააღმდეგ აღძრავენ საქმეებს, რომლებიც ფინანსების არასათანადოდ გამოყენებას ან არალეგალური რესურსების მიღებას უკავშირდება. მაგალითად, უნგრეთში უფლებადამცველი ორგანიზაციები დაადანაშაულეს არაავტორიზებულ ფინანსურ აქტივობებში, ფინანსურ თაღლითობაში, გაყალბებასა და თანხების მითვისებაში. მსგავსი ბრალდებები ხშირად არის მიბმული ასევე

ნარატივთან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოური ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ. მაგალითად, რუსეთში მთავრობამ აქტივისტები დაადანაშაულა ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული საიდუმლოებების აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მიყიდვასა და რუსული კომპანიების რეპუტაციის დაზიანებაში. უნგრეთში ვიქტორ ორბანმა უფლებადამცველ ჯგუფებს „უცხოეთიდან დაფინანსებული აქტივისტები“ უწოდა, რომლებიც „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ინტერესების“ სასარგებლოდ მუშაობდნენ. ორბანმა ასევე განაცხადა, რომ „ფსევდოსამოქალაქო ორგანიზაციები უცხოელი სპეკულატორების მიერ არიან დაფინანსებულნი, რომ უნგრეთის საერთაშორისო რეპუტაცია დააზიანონ“. ამ ტიპის ბრალდებებმა ფორმალურ გამოხატულებას მიაღწია რუსეთში, სადაც 2012 წელს „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონი შევიდა ძალაში. ამ კანონის საფუძველზე, 2017 წლის მონაცემებით, 155 არასამთავრობო ორგანიზაცია „უცხოელი აგენტის“ სტატუსით დაიხურა.

პოპულისტი მთავრობები ასევე ცდილობენ, რომ შელახონ უფლებადამცველი ორგანიზაციების მიუკერძოებლობის შესახებ საზოგადოების წარმოდგენა და მათ ხშირად ადანაშაულებენ რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ მუშაობაში. მაგალითად, ეკვადორელმა რაფალ კორეამ არასამთავრობო ორგანიზაციები ოპოზიციის არაფორმალურ მხარდაჭერასა და დაფინანსებაში, ასევე საერთაშორისო დონორების დახმარებით ქვეყნის დესტაბილიზაციის მცდელობაში დაადანაშაულა და მათ შესახებ განაცხადა, რომ „ისინი არიან არა არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ სხვა მთავრობების ორგანიზაციები“.

არასამთავრობო ორგანიზაციების არაძალადობრივი იმიჯის დასაზიანებლად პოპულისტი ლიდერები მათ ხშირად ადანაშაულებენ ტერორისტული და სამხედრო ტიპის ორგანიზაციებთან კავშირში. მაგალითად, 2014 წელს კენიის მთავრობამ ტერორიზმისთვის ფონდების მოძიების ბრალდებით 15-მდე არასამთავრობო ორგანიზაციას დახურა. რუსეთში 2005 წელს ჩეხური დახმარების ცენტრი „ხალხი გასაჭირში“ მთავრობამ ჩეჩენ აჯანყებულებთან კავშირში დაადანაშაულა და ქვეყნის დატოვება აიძულა. უნგრეთში ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებს ხელისუფლებამ ტერორისტულ და ტრეფიკინგში ჩართულ ორგანიზაციებთან კავშირი დააბრალა.

უნდამენტური უფლებების შეზღუდვა

პოპულისტების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის არსებითი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. ეს უფლებებია: სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, ფიზიკური გადაადგილების თავისუფლება, ორგანიზაციების ფორმირების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება და წამებისგან დაცვის უფლება. პოპულისტები არა მარტო ზღუდავენ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისთვის აუცილებელ ამ უფლებებს, არამედ ასევე ზღუდავენ მათი ადვოკატირების ერთ-ერთ მთავარ საშუალებასაც - შეკრებისა და მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარების

უფლებას. ისინი საპროტესტო გამოსვლებს, როგორც „დესტაბილიზაციის გამომწვევ ქმედებებს“ ხშირად დარბევებითა და დაპატიმრებებით პასუხობენ. პროტესტის შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები, როგორიცაა, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოება და საჯარო წესრიგი, ხშირად კანონმდებლობაში ბუნდოვნად არის განმარტებული და მანიპულაციის შესაძლებლობას იძლევა. გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ ხშირად აღძრავენ საქმეებს ცილისწამების ან „პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის“ ბრალდებით. გარდა გამოხატვის უფლების პირდაპირი შეზღუდვისა, გავრცელების ფარგლების შესამცირებლად პოპულისტები ხშირად ზღუდავენ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს. მაგალითად, 2015 წელს თურქეთის მთავრობამ მოიპოვა უფლება, რომ სასამართლოს თანხმობის ან წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ვებსაიტები. გადაადგილების თავისუფლების შესაზღუდად ყველაზე გავრცელებული საშუალება მოგზაურობაზე უარია. რაც შეეხება სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას, ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე აქტივისტების მკვლელობები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა რუსეთში. ვენესუელაში მხოლოდ 2017 წელს 5500 არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი პოლიტიკური მოტივით დააპატიმრეს. მკვლელობებისა და ფიზიკური თავდასხმების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ჯგუფები, რომლებიც ისეთ სენსიტიურ თემებზე მუშაობენ, როგორიცაა კორუფცია, სექსუალური უმცირესობების უფლებები და საარჩევნო დარღვევები.

ზეწოლა არასამთავრობო ორგანიზაციების ოპერაციულ შესაძლებლობებზე

პოპულისტური რეჟიმები ხშირად აკისრებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს სხვადასხვა მძიმე სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ვალდებულებებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ საქმიანობას განსაკუთრებულად ართულებს. ასეთი შეზღუდვებია: რეგისტრაციის პროცესის გართულება/გაჭიანურება; ოფიციალური რეგისტრაციის მოსაპოვებლად არარეალისტური მოთხოვნები; იდენტიფიკაციის მიზნით პერსონალური ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, რაც პერსონალური ანგარიშსწორების რისკებს ზრდის; მუდმივი მონიტორინგი და მეთვალყურეობა; ბუნდოვანი სტანდარტები, რომლებიც ზღუდავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობების წრეს; შენობიდან მოულოდნელი გამოსახლება; წინასწარ შეუტყობინებელი შემოწმებები და ტერიტორიაზე შესვლა; საგადასახადო აუდიტები, რომლებიც დროებით ორგანიზაციის დახურვას საჭიროებენ და სხვა.

ამ ვალდებულებების შეუსრულებლობას, შესაძლოა, სასჯელად ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერება ან სულაც დახურვა მოჰყვეს. იმისთვის, რომ ამგვარი ზომები გაამართლონ, პოპულისტური მთავრობები ხშირად საბაბად იყენებენ ისეთ საჯარო ინტერესებს, როგორიცაა: ტერორიზმთან ბრძოლა; ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა და უცხოური გავლენების შეკავება; არასამთავრობო ორგანიზაციებში კორუფციისა და ბოროტმოქმედების შეკავება; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; საზოგადოების საჯარო ინტერესებისა და მორალის დაცვა და სხვა.

ამგვარი შეზღუდვები სხვადასხვა პოპულისტურ და ავტორიტარულ რეჟიმებში შესამჩნევად მსგავსია. შეზღუდვები უმეტეს შემთხვევაში ეფუძნება ბუნდოვნად

ფორმულირებულ სამართლებრივ აქტებს. მაგალითად, რუსეთში „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონი „უცხოელი აგენტის“ სტატუსის საფუძვლებად ასახელებს უცხოური დონაციის მიღებას და „პოლიტიკურ აქტივობას“. ეს უკანასკნელი ტერმინი იმდენად ფართოა, რომ მასში არასამთავრობო ორგანიზაციის ნებისმიერი აქტივობა შეიძლება მოექცეს. მსგავსი სამართლებრივი აქტები, ჩვეულებრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს ბლანკეტურად აკისრებს განუზომელ მატერიალურ ტვირთს. მაგალითად, ვენესუელაში 2010 წელს მიღებული „კანონი პოლიტიკური სუვერენიტეტისა და ეროვნული თვითგამორკვევის დაცვის შესახებ“ სამოქალაქო საზოგადოების წევრებს აკისრებს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების ჯამურად ორმაგი ოდენობის ჯარიმად გადახდის ვალდებულებას. ასევე, პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც „შეურაცხყოფენ სახელმწიფო ინსტიტუტებს“, შეიძლება დაექვემდებარონ 100 000 აშშ დოლარის ოდენობის ჯარიმას და საქმიანობის 5-8 წლით შეჩერებას.

სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვაზე ორიენტირებული რეგულაციებისთვის ასევე დამახასიათებელია არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო ინსტიტუტებზე დამოკიდებულების ხელოვნურად გაზრდა. მაგალითად, ინდოეთში ორგანიზაციებს უცხოური დაფინანსების მხოლოდ 50% შეუძლიათ ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გამოიყენონ, შესაბამისად, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მთავრობის ჩარევა გარდაუვალი ხდება. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები ხშირად ექვემდებარებიან პერსონალურ სამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციები შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტებს წარმოადგენენ. მაგალითად, თურქეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის პირად პასუხისმგებლობას ორგანიზაციაზე დაკისრებული ჯარიმებისა და სანქციებისთვის.

ამოქალაქო საზოგადოების გადაბირება

პოპულისტი მთავრობების ბოლო ტაქტიკაა სამოქალაქო საზოგადოების გადაბირება და მომხრობა, რისი მთავარი საშუალებაც მთავრობის (GONGO) ან პარტიის (PANGO) საკუთრებაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებაა. ეს უკანასკნელნი შემდგომ კონკურენციას უწევენ ან თავს ესხმიან ლეგიტიმურ უფლებადამცველ ორგანიზაციებს. ხშირად ეს ორგანიზაციები არა მხოლოდ მხარს უჭერენ ხელისუფლებას, არამედ ძალადობრივ დაჯგუფებებად ყალიბდებიან, რომლებიც მთავრობის ოპონენტებს ფიზიკურადაც უსწორდებიან. მაგალითად, რუსეთში ახალგაზრდული მოძრაობა „ნაში“ თავს ესხმის ინდივიდუალურ აქტივისტებს, რომლებიც პუტინის პოლიტიკას აკრიტიკებენ. ზოგიერთ შემთხვევებში პარტიული და სამთავრობო ორგანიზაციების შექმნის მიზანი არა ლეგიტიმურ უფლებადამცველ ორგანიზაციებზე შეტევა, არამედ რესურსების გადამისამართების საშუალებაა: სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული რესურსები არა

დამოუკიდებელი მოთამაშეების, არამედ ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების გასაძლიერებლად გამოიყენება.

„გონგოების“ გამოყენების ტაქტიკა მრავალმხრივ ეფექტურია. პირველ რიგში, ხელისუფლებას სამოქალაქო საზოგადოების წრეში მხარდამჭერები ჰყავს, რაც მას ლეგიტიმაციის ამაღლებაში უწყობს ხელს. გარდა ამისა, „გონგოების“ გამოჩენა ზრდის ორგანიზაციებს შორის ისედაც შეზღუდულ რესურსებზე კონკურენციას, განსაკუთრებით, როცა ერთ-ერთი დონორი სახელმწიფოა. ასევე, მთავრობასთან დაახლოებული ორგანიზაციები კონკურენციას უწევენ დამოუკიდებელ უფლებადამცველებს საჯარო ლეგიტიმაციაზე, რაც სამოქალაქო საზოგადოებაში ქაოსისა და დაყოფის შთაბეჭდილებას ტოვებს და მთლიანი სექტორის სანდოობას ამცირებს.

ასუხი პოპულისტურ გამოწვევას: უფლებადამცველების ახალი ტაქტიკები

უფლებადამცველ ორგანიზაციებს არასტაბილურ გარემოში უწევთ ფუნქციონირება, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის პესიმიზმი, რომ ამ სფეროში „კრიზისი“ და „განკითხვის დღე“ დგას, გადაჭარბებულია. ამგვარი ხედვების კულტივაცია, გარდა იმისა, რომ ემპირიულად დაუსაბუთებელია, სამოქალაქო საზოგადოებაში პესიმიზმის შექმნას უწყობს ხელს. ამის ნაცვლად, უფლებადამცველი ორგანიზაციები ახალ გამოწვევებს ინოვაციური მიდგომებითა და ტრანსფორმატორული სულისკვეთებით უნდა შეხვდნენ. ადვოკატირების ახალი სტრატეგიები ნაკლებად უნდა დაეფუძნოს „მხილების და შერცხვენის““ სტრატეგიას. ის უნდა ჩაანაცვლოს „ეფექტურობის პოლიტიკამ“, რომელიც გულისხმობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ეცადონ ახალ საზოგადოებრივ ჯგუფებთან დაკავშირებას, გააერთიანონ ონლაინ და ფიზიკური მობილიზაციის ფორმები და განავითარონ გლობალურ სამხრეთსა და ჩრდილოეთში არსებული ორგანიზაციების ჰორიზონტალური თანამშრომლობის გზები.

ადამიანის უფლებათა სფეროს კრიზისის იდეის კრიტიკა

ჯერჯერობით საკმაოდ ადრეა იმის ზუსტად სათქმელად, გამოიწვევს თუ არა უფლებადამცველი ორგანიზაციების შევიწროებაზე ორიენტირებული პოპულისტური სტრატეგიები სამოქალაქო საზოგადოების სივრცეების დახურვის გლობალური ტრენდის ჩამოყალიბებას. ამ შეკითხვაზე დასაბუთებული პასუხის გასაცემად საჭიროა, რომ სამოქალაქო საზოგადოების უფლებების შეზღუდვის განმსაზღვრელი ინდექსების მეთოდოლოგია გაფართოვდეს. დღესდღეობით ამგვარი საზომები მხოლოდ აქტივისტების უკანონო დაკავებასა და ფიზიკური განადგურების შემთხვევებს აღრიცხავს, თუმცა რადგან ჰიბრიდულ რეჟიმებში რეპრესიის შედარებით უფრო რბილი ფორმები იკავებს წამყვან ადგილს, აუცილებელია, რომ უფლებადამრღვევების ქცევების უფრო დეტალური დოკუმენტირება მოხდეს.

პასუხი ლეგიტიმაციის გამოწვევას: ძლიერი ნარატივების განვითარება და დაკავშირება სხვა მოძრაობებთან

შეწინააღმდეგება პოპულისტურ ნარატივებთან და საზოგადოებრივ ღირებულებებსა და ემოციებთან დაკავშირება

პოპულისტური შეტევის ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი ღირებულებების, ნარატივების და კომუნიკაციის ფორმების მიმართ უფლებადამცველების მომეტებული ყურადღება აღმოჩნდა. სამართლებრივი მექანიზმებიდან და ენიდან თანდათანობით დაშორების კვალდაკვალ უფლებადამცველი ორგანიზაციების კომუნიკაციის საშუალებები უფრო მრავალფეროვანი გახდა და მჭიდროდ დაუკავშირდა საზოგადოების ემოციებსა და ღირებულებებს იმ მიზნით, რომ პოპულისტური ნარატივებისგან შექმნილი შიშისა და ბრაზის განცდისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ადამიანის უფლებების დაცვის ენასა და სტრატეგიებში სამართლებრივი ენის სიჭარბემ ნაწილობრივ გამოიწვია დავიწყება იმ ფაქტისა, რომ ადამიანის უფლებების დამცველი ნორმები, უპირველეს ყოვლისა, უნივერსალურ ეთიკურ და მორალურ საწყისებზეა აღმოცენებული. იმ გარემოში, სადაც პოპულისტური ლიდერები ადამიანის უფლებებს მუდმივად ესხმიან თავს, უფლებადაცვითი სტრატეგიები ადამიანის უფლებების დოქტრინის მორალურ და ეთიკურ ბუნებაზე ხაზგასმას უნდა დაეფუძნოს და ფართო საზოგადოებისა და სხვა მოძრაობების დისკურსებთან დაკავშირებაზე იყოს ორიენტირებული. ამ გზით უფლებადამცველი ორგანიზაციები შეძლებენ „დარწმუნებადი შუა“ რგოლის შექმნას საზოგადოებაში.

მაგალითად, ორბანის ხელისუფლების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმის დროს უნგრული სამოქალაქო თავისუფლებების კავშირმა (Hungarian Civil კომუნიკაციის სტრატეგია რადიკალურად გარდაექმნა. მთავრობის თავდასხმებზე პასუხისა და თავდაცვით მდგომარეობაში ჩადგომის ნაცვლად, HCLU კონცენტრირდა საზოგადოებისთვის საკუთარი სათქმელის პროაქტიულად წარდგენასა და ადამიანის უფლებების დაცვის გამაერთიანებელი ნარატივების გავრცელებაზე. ამ სტრატეგიის ფარგლებში ორგანიზაცია გასცდა თავისი დონორებისა და მხარდამჭერების წრეს და აქტიურად დაუკავშირდა მოსახლეობის ფართო წრეს, განსაკუთრებით იმ ნაწილს, რომელიც მხარს უჭერდა ორბანის ქსენოფობიურ პოლიტიკას და წარმოედგინათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ უმცირესობების უფლებებს იცავდნენ. კომუნიკაციის ახალი სტრატეგია დაეფუძნა ადამიანის უფლებებზე ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ნარატივების გავრცელებას. ერთ-ერთი ნარატივი გულისხმობდა HCLU-ს მიერ მხარდაჭერილი ადამიანებისთვის პლატფორმის მიცემას, რათა მათ საკუთარი ისტორიები მოეყოლათ და საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, რომ ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ სხვა მოქალაქეებისგან. მეორე ნარატივი დაეფუძნა ორგანიზაციაში მომუშავე პირების პერსპექტივის გაზიარებას, თუ რა ღირებულებებისა და ინტერესების გამო მუშაობდნენ ისინი ამ სფეროში. გარდა ამისა, ორგანიზაციამ ადამიანის უფლებების პრინციპების ახსნა გამარტივებული ენით დაიწყო და მთავრობის კრიტიკის პასუხად, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება არაგამჭვირვალე იყო, არა

მარტო კანონით მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშები მოამზადა, არამედ მის ვებგვერდზე გამოაქვეყნა მარტივად აღქმადი სტატისტიკური მონაცემები ორგანიზაციის შემოსავლების შესახებ. ასევე, ორგანიზაციამ თავის კომუნიკაციის სტრატეგიაში ჩართო ხელოვანები, საჯარო ინტელექტუალები და სხვა საზოგადოებრივი ფიგურები, რითაც საზოგადოების მრავალფეროვან ჯგუფებთან კომუნიკაციის დამყარება შეძლო.

HCLU-ს მიერ გამოყენებული სტრატეგია აჩვენებს, რომ ტაქტიკის ეფექტურობისთვის აუცილებელია არა მხოლოდ კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების შერჩევა, არამედ კრეატიული, გამაერთიანებელი და ფართო საზოგადოებისთვის გასაგები გზებით მოქალაქეების ინფორმირება ადამიანის უფლებათა ნორმებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების მისიის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციები კონცენტრირდნენ ადვოკატირების ტრადიციული მექანიზმების გარდაქმნასა და ახალ სამიზნე ჯგუფებთან დაკავშირებაზე.

ლეგიტიმაციის გაზრდა ახალი და უფრო ღრმა ალიანსების მეშვეობით

კიდევ ერთი ტაქტიკა, რომელიც უფლებადამცველ ორგანიზაციებს შესაძლებლობას მისცემს, რომ პოპულისტების მხრიდან დელეგიტიმაციის შემოტევას გაუმკლავდნენ, არის ორგანიზების იმგვარი მოდელების განვითარება, რომელიც აამაღლებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობას და მთავრობისთვის მათზე თავდასხმის ხარჯებს გაზრდის. ამ მიზნის მისაღწევად ორი სტრატეგია არსებობს: 1) არასამთავრობო ორგანიზაციები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ ადგილობრივ თემებსა და საზოგადოების ჯგუფებს ურბანული ცენტრების მიღმა; და 2) შექმნან კოალიციები და ალიანსები სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სათემო და ადგილობრივ დაჯგუფებებთან, სოციოპოლიტიკურ აქტორებთან და სამოქალაქო აქტივისტებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პერსპექტიულია ფორმალური უფლებადამცველი ორგანიზაციების სტრატეგიაში შედარებით ნაკლებად ორგანიზებული, ინდივიდუალური აქტივიზმის ფორმების ინტეგრაცია, როგორიცაა, მაგალითად, ონლაინ მობილიზაცია. ასევე, იმისთვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოეთიდან მართვის შესახებ პოპულისტების ბრალდებებს შეეწინააღმდეგონ, ეროვნული უფლებადამცველი ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან აქტიურად უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ხელი შეუწყონ „სამოქალაქო დიპლომატიის“ მშენებლობას. ასევე, მსგავს კონტექსტებში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხშირად კოორდინირებული სტრატეგიებითა და „მრავალმხრივი ბუმერანგის“ მიდგომით შეთანხმებულად უნდა განახორციელონ ზეწოლა თავიანთ პოპულისტ მთავრობებზე.

პასუხი ეფექტურობის გამოწვევას: ოპერაციული და ფონდების მოძიებასთან დაკავშირებული ინოვაციები

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის პოპულისტური აქტორების მიერ შექმნილი რეგულატორული, ლოჯისტიკური და ფინანსური სირთულეების დასაძლევად

არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ. პირველი შესაძლებლობაა შექმნილი სირთულის უგულებელყოფა - უფლებადამცველები აკრიტიკებენ რეგულატორული რეჟიმის უკან მდგომ პოლიტიკურ ინტერესებს და ნაკლებად ინტერესდებიან მისი ტექნიკური დეტალებით. მეორე ტაქტიკაა სტანდარტული ბიზნესპრაქტიკის დამკვიდრება - არასამთავრობო ორგანიზაციები აყალიბებენ შესაბამისობის სისტემებს და ამასთან ერთად ცდილობენ, რომ ხელისუფლებას გადაწყვეტილება შეაცვლევინონ. მესამე ალტერნატივაა რეგულატორული დაბრკოლებებისთვის გვერდის ავლა - საქმიანობის გადატანა სხვა ქვეყანაში ან არაფორმალურ გარემოში. მეოთხე სტრატეგიაა ტექნიკური ცოდნისა და საჯარო მხარდაჭერის მობილიზებით მთავრობის დარწმუნება, რომ გააუქმონ შემზღუდავი რეგულაციები.

ამ სტრატეგიების გარდა აუცილებელია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა განავითარონ რეაგირების სწრაფი და შეთანხმებული სტრატეგიები, როგორიცაა, მაგალითად, გადაუდებელი იურიდიული დახმარება, ადვოკატირების კამპანიებისთვის განკუთვნილი მოქნილი ფინანსური რესურსები, საფრთხის ქვეშ მყოფი აქტივობების რელოკაცია და სხვა. ამასთან, უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა მუდმივი მონიტორინგი უნდა გაუწიონ პოპულისტი ხელისუფლებების მოქმედებას სახელმწიფო ინსტიტუტებში და ბოლომდე გამოიყენონ ზემოქმედების საშუალებები სასამართლოში, პარლამენტსა და სხვა ფორმალურ სივრცეებში. ასევე, უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა კავშირები უნდა დაამყარონ ახალ პარტნიორებთან, მაგალითად, ბიზნესორგანიზაციებთან და ხელისუფლებაზე ზეწოლის მოსახდენად მათი გავლენა გამოიყენონ. ასევე, იმისთვის, რომ უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების გამო „უცხოეთის აგენტის“ ბრალდება ნაკლებად დამაჯერებელი გახდეს საზოგადოებისთვის, ორგანიზაციები უნდა ეცადონ, რომ გაამრავალფეროვნონ დონორების წრე, მათ შორის, რესურსების მოძიებას შეეცადონ ადგილობრივი წყაროებიდან, უცხოელ დონორებს შორის კი უპირატესობა მიანიჭონ მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებს.

დასკვნა

პოპულისტი ხელისუფლებების თავდასხმა უფლებადამცველ ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას, რომ გამოწვევას ნოვატორული, კრეატიული და თვითგაჯანსაღებაზე ორიენტირებული სტრატეგიებით გაუმკლავდნენ. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ღირებულებების გადახალისებული ფორმებით კომუნიკაცია, ფართო საზოგადოებასთან მჭიდრო ემოციური და ღირებულებითი კავშირების დამყარება, ადგილობრივ ორგანიზაციებსა და თანამებრძოლ უფლებადამცველებთან თანამშრომლობა და ტექნიკური დაბრკოლებების გადასალახავად მრავალფეროვანი მიდგომების განვითარება შესაძლებლობას მისცემს უფლებადამცველ ორგანიზაციებს, რომ არა მხოლოდ გადარჩნენ პოპულისტურ გარემოში, არამედ ეფექტურად შეეწინააღმდეგონ პოპულისტურ და ავტორიტარულ ძალებს.